*დანართი*

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა აღმოსავლეთ-ევროპის უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ[1]

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი


**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: მარიამ ბანძელაძე, შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

**წევრები:**

ნანი ყავლაშვილი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო


თბილისი

2022

[1] **შენიშვნა:** მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

## ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

## ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| სახელწოდება | შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი<br>East European University LLC |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | უნივერსიტეტი |
| სახე | |
| საიდენტიფიკაციო კოდი | 400028849 |
| ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა) | 1. შატილის ქ. №4; ქ. თბილისი, 0178, საქართველო;<br>2. ირინა ენუქიძის ქ. №6; ; ქ. თბილისი, 0158; საქართველო. |
| ვებ-გვერდი | http://www.eeu.edu.ge |
| ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ | |
| გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი | 2021 წლის 2 ივნისი<br>MES 3 21 0000583081 |
| ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი | 2027 წლის 2 ივნისი |

## რაოდენობრივი მაჩვენებლები

### პროგრამები[2]

| | |
|---|---|
| **უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა** | 20 |
| ბაკალავრიატი | 6 |
| მაგისტრატურა | 9 |
| ერთსაფეხურიანი | 1 |
| დოქტორანტურა | 3 |
| მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი) | 1 |
| ქართულ ენაში მომზადების | - |
| აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა | 18 |
| საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა | |
| ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა[3] | |
| გაცვლითი პროგრამების რაოდენობა | |

### სტუდენტები

| | | | |
|---|---|---|---|
| სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა | | | 2100 |
| | აქტიური | შეჩერებული | პროგრამის დასრულების მაჩვენებელი |
| სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა | 1408 | 944 | 1002 |
| ბაკალავრიატი | 326 | 296 | 405 |
| მაგისტრატურა | 581 | 471 | 518 |
| ერთსაფეხურიანი | 443 | 91 | 18 |
| დოქტორანტურა | 53 | 81 | 5 |

[2] იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება
[3] იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის ჰ[48] პუნქტში

| | | | |
|---|---|---|---|
| მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი) | 5 | 5 | 56 |
| ქართულ ენაში მომზადების პროგრამა | - | - | - |
| უცხოელი სტუდენტების რაოდენობა | 451 | 103 | 18 |
| სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა | 0 | 0 | 0 |

## პერსონალი

| **მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ** | |
|---|---|
| უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი) | 463 |
| **სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა** | 152 |
| - პროფესორი | 31 |
| - ასოცირებული პროფესორი | 79 |
| - ასისტენტ პროფესორი | 38 |
| - ასისტენტი | 4 |
| **სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა** | |
| - მეცნიერი | |
| - პოსტდოქტორანტი | |
| **სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა** | 90 |
| - აფილირებული პროფესორი | 17 |
| - აფილირებული ასოცირებული პროფესორი | 37 |
| - აფილირებული ასისტენტ პროფესორი | 33 |
| - აფილირებული ასისტენტი | 3 |
| სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა | 19 |
| კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა | 8 |
| სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი | 211 |
| ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი | 100 |

## შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

| | |
|---|---|
| დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში | 9567 კვ.მ |
| დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში | 5019 კვ.მ |
| დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში | 4548 კვ.მ |

## მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

| |
|---|
| **აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:**<br><br>ავტორიზაციის მონიტორინგი განხორციელდა ონლაინ რეჟიმში, სასწავლო დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა დასკვნის მომზადებისთვის იხელმძღვანელა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით.<br><br>უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მონიტორინგი განხორციელდა მარიამ ზანძელაძის (თავმჯდომარე) - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის წევრისა და ნანი ყავლაშვილის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის წევრის მიერ. ბრძანების თანახმად ექსპერტებს განესაზღვრეთ 12 სამუშაო დღე მონიტორინგის დასკვინის მომზადებისთვის.<br><br>უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულყოფილია და თავისუფლად იძლევა მსჯელობის დადასტურების შესაძლებლობას. შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფს მიაჩია რომ ექვსი სტანდარტის (1, 2, 4, 5, 6, 7) ყველა ქვე-სტანდარტი სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო ერთი სტანდარტის (მე-3 სტანდარტი) სამი ქვე-სტანდარტი სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ერთი კი (3.3.) ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. |
| **მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები:**<br><br>☒ ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება<br>შეფასების განხორციელების თარიღი: _______2021 წლის 19, 20 და 21 აპრილი_________<br><br>☐ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება<br>შეფასების განხორციელების თარიღი: ___________________<br><br>☐ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება<br>შეფასების განხორციელების თარიღი: ___________________<br><br>☐ შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში<br>შეფასების განხორციელების თარიღი: ___________________ |

| უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია): | აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით: |
|---|---|
| სტანდარტი 1.2:<br>• თითოეულ ახალ სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს წინა გეგმების შესაბამისი მიღწევები და შესაძლო | რეკომენდაცია სრულად გათვალისწინებული და შესრულებულია უნივერსიტეტის მიერ. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში, სარისხის სამსახურის რეკომენდაციები და |

| | |
|---|---|
| წარუმატებლობები, თავისი განმარტებებით. | გარე შეფასების მოსაზრებები, რაც ადასტურებს უნივერსიტეტის ინსტიტუციონალურ მიდგომას მიღწევებისა და გამოწვევების ანალიზის კუთხით.<br><br>სასურველია სამოქმედო გეგმის პრეამბუალაში დამატებით შემოვიდეს მსჯელობა გარე შემფასებლების დასკვნებსა და ხარსხის სამსახურის შეფასებების ანალიზის კუთხით. |
| სტანდარტი 2.1:<br>• EEU-ს ხელმძღვანელობამ ფინანსური მხარდაჭერა უნდა გაუწიოს აკადემიური პერსონალის მობილობას და დაეხმაროს საერთაშორისო პროექტებზე განაცხადების შეტანაში.<br>• რამდენადაც უნივერსიტეტში არის ენის ცენტრი და ინგლისური ენის ცოდნა ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია ინტერნაციონალიზაციისთვის, უნდა გაუმჯობესდეს ენის ცოდნის დონე. | რეკომენდაცია სრულად გათვალისწინებული და შესრულებულია უნივერსიტეტის მიერ. უნივერსიტეტს მნიშვნელოვანი ნაბიჯები აქვს გადადგმული ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის კუთხით, რაც ასევე გამყარებულია/დადასტურებული შესაბამისი ფინანსური რესურსებით.<br><br>დაწესებულებას გადადგმული აქვს ქმედითი ნაბიჯები (ტარდება ტრენინგები, ვებინარები მუდმივ რეჟიმში) აკადემიური პერსონალის თუ სტუდენტების ინგლისური ენის კომპეტენციის ამაღლების კუთხით.<br><br>სასურველია წარმოდგენილი იყოს ინგლისური ენის კომპეტენციის ამაღლების მონაწილეთა სტატისტიკური ანალიზი. |
| სტანდარტი 3.2<br>• უზრუნველყოფილ იქნეს სწავლა-სწავლების მეთოდების და სწავლის შედეგების უკეთესი თანახვედრა. | რეკომენდაცია სრულად გათვალისწინებული და შესრულებულია უნივერსიტეტის მიერ.˜<br><br>უნივერსტეტმა გაითვალისწინა ექსპერტთა რჩევები - სასწავლო კურსებში თემატიკის შესაბამისად ჩაემატა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებისა (PBL) და კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლების (CBL) სესიები. PBL-ისა და CBL- ის შეფასება ხდება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული რელევანტური კრიტერიუმებით. |
| სტანდარტი 3.3<br>• განვითარდეს სასწავლო გეგმის სხვადასხვა ეტაპზე თითოეული სტუდენტისთვის მონიტორინგის სისტემა.<br>• განმავითარებელი შეფასება (ის შეფასებები, რომლებიც წარმოაჩენს სტუდენტთა ძლიერ და სუსტ მხარეებს და არ შექვს რაიმე წვლილი კონკრეტულ | რეკომენდაციის ირგვლივ გაცემული რეკომენდაციების მეტწილად შესრულებულია. თუმცა, მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს შემდეგი:<br><br>კლინიკურ საგანებში (შინაგანი მედიცინა, ქირურგია, პედიატრია, მეანობა-გინეკოლოგია და სხვ.) უნდა მოხდეს |

| | |
|---|---|
| კურსზე სტუდენტის საბოლოო შეფასებაში) გახდეს სტუდენტთა შეფასების მნიშვნელოვანი ნაწილი.<br>• სამუშაო ადგილზე დაფუძნებული შეფასების უფრო ამომწურავად გამოყენება.<br>• OSCE/OSPE ტიპის გამოცდების ადრეული დანერგვა იმ სტუდენტებისთვისაც კი, რომლებიც დიპლომირებული მედიკოსის ძველ პროგრამაზე არიან ჩარიცხული. | ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის დანერგვა<br><br>მინი-კლინიკური გამოცდის (mini-CEX), 360o-იანი შეფასების და პირდაპირი დაკვირვების (DOPS) გამოყენება სასურველია აისახოს სილაბუსებში.<br><br>სასურველია სილაბუსს თან ახლდეს შეფასების ყველა ფორმა.<br><br>ყველა კურსში სადაც დანერგილია OSCE გამოცდა, სასურველია მოცემული იყოს რა ფორმატით ტარდება გამოცდა, სადგურების რაოდენობა, აღწერილობა, შეფასების ფორმები. |
| სტანდარტი 4.2<br>• გადაიხედოს აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის პოლიტიკა, განსაკუთრებით აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის და ჩამოყალიბდეს გონივრული მექანიზმი სწავლების ხარისხის გაუარესების რისკის პრევენციისთვის. | რეკომენდაცია სრულად გათვალისწინებული და შესრულებულია უნივერსიტეტის მიერ.<br><br>აკადემიური პერსონალის დატვირთვის მექანიზმი და ჩამოყალიბდა მეტად სტრუქტურირებულ, სტანდარტიზებულ დოკუმენტად. უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული აკადემიური დატვირთვა აკმაყოფილებს საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებს. უნივერსიტეტის 2022-2024 სამოქმედო გეგმაში გამჭოლი პრიორიტეტია აკადემიური პერსონალის მოზიდვა და პროფესიული განვითარება. |
| **სტანდარტი 6.1**<br>• უფრო აქტიურად ჩაერთოს აფილირებული პერსონალი კვლევაში.<br>• შემოწმდეს დასრულებული კვლევითი პროექტების შესახებ ინფორმაცია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტთან ზოგიერთი პუბლიკაციის აფილირებისთვის.<br>• გადაიხედოს აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის სისტემა, როგორც მინიმალური, ასევე მაქსიმალური დატვირთვის კუთხით.<br>• უზრუნველყოფილ იქნეს სტუდენტების უფრო ფართო ჩართულობა უნივერსიტეტის კვლევით საქმიანობაში. | რეკომენდაცია სრულად გათვალისწინებული და შესრულებულია უნივერსიტეტის მიერ.<br><br>დაწესებულება ახორციელებს რიგ საქმიანობებს, რომლებიც ორიენტირებულია, ერთის მხრივ, აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, მეორეს მხრივ კი - მაღალი ხარისხის სამეცნიერო-კვლევით პროდუქტების შექმნაზე. უნივერსიტეტში მუდმივ რეჟიმში იგეგმება ტრენინგები, ვერქშოპები და ვებინარების, რაც დადასტურებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციით. უნივერსიტეტის მიერ გადადგმულ მდგრად ნაბიჯებზე ასევე მეტყველებს 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა და საპროგნოზო ბიუჯეტი. უნივერსიტეტს წარმოდგენილი |

| | |
|---|---|
| | აქვს სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი. აღნიშნული დოკუმენტი ასევე უზრუნველყოფს სტუდენტების წახალისებას ჩაერთონ სამეცნიერო საქმიანობაში. |
| **სტანდარტი 7.1**<br>• უზრუნველყოფილ იქნეს აღჭურვილობისა და სიმულატორების საკმარისი რაოდენობა ყველა სამედიცინო სტუდენტისთვის, რათა სწავლებისას მათ შეიძინონ საჭირო უნარები.<br>• უზრუნველყოფილ იქნეს, რომ ყველა აღჭურვილობა ადეკვატურად გამოიყენება სასწავლო პროცესში და შესაძლებლობას იძლევა, სტუდენტებმა შეიძინონ პრაქტიკული გამოცდილება. | რეკომენდაცია სრულად გათვალისწინებული და შესრულებულია უნივერსიტეტის მიერ.<br><br>უნივერსტეტმა ჩაატარა ანატომიური მაგიდისა და მონიტორების მოხმარების ტრენინგები პერსონალისთვის, ამჟამად კი აღნიშნული ანატომიური მაგიდა და სმარტ-მონიტორები გამოიყენება სასწავლო პროცესში. უნივერსიტეტმა გაზარდა სამედიცინო აღჭურვილობისა და სიმულატორების რაოდენობა, შეიძინა როგორც სიმულაციური და ანატომიური ლაბორატორიებისათვის საჭირო მულაჟები, ასევე, ჰისტოლოგიისა და უჯრედული ბიოლოგიის ლაბორატორიისათვის განკუთვნილი აღჭურვილობა.<br><br>სასურველია სილაბუსებში (კლინიკური უნარები) აისახოს სასწავლო პროცესში არნიშნული აღჭურვილობის გამოყენება |
| **სტანდარტი 7.2**<br>• უზრუნველყოფილ იქნეს ბიბლიოთეკაში, სტუდენტების წვდომა ლიცენზირებულ წიგნებზე/ელექტრონულ წიგნებზე და საავტორო უფლებების შესახებ კანონის დაცვა. | უნივერსიტეტმა გაიზიარა და შეასრულა ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაცია ლიცინზირებულ წიგნებზე წვდომის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. ახალი კამპუსის განახლებულ ბიბლიოთეკაში სახელმძღვანელოების აღრიცხვა და სარგებლობა ხორციელდება წესების სრული დაცვით. ყველა ბეჭდური წიგნი არის ლიცენზირებული, ხოლო ყველა ელექტრონული წიგნი ოფიციალურად შესყიდულია. |
| **სტანდარტი 7.4**<br>• სარეზერვო ფონდის შექმნა საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური მდგრადობის გასაუმჯობესებლად; | რეკომენდაცია სრულად გათვალისწინებული და შესრულებულია უნივერსიტეტის მიერ.<br><br>2022 წლიდან ბიუჯეტის ფორმირებისას გათვალისწინებულია და ბიუჯეტში ასახულია მუხლი მზარდი სარეზერვო ფონდის შექმნის შესახებ. უნივერსტეტი გეგმავს შესაბამის საანგარიშო პერიოდში, |

| | |
|---|---|
| | ყოველ 6 თვეში ერთხელ სარეზერვო ფონდში მოახდინოს წინასწარ განსაზღვრული თანხის მობილიზება. |

## უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

### რეკომენდაციები

**სტანდარტი 3.3:**

- კლინიკურ საგანებში (შინაგანი მედიცინა, ქირურგია, პედიატრია, მეანობა-გინეკოლოგია და სხვ.) უნდა მოხდეს ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის დანერგვა.

### რჩევები

სტანდარტი 3.3.:

- მინი-კლინიკური გამოცდის (mini-CEX), 360ი-იანი შეფასების და პირდაპირი დაკვირვების (DOPS) გამოყენება სასურველია აისახოს სილაბუსებში.
- სასურველია სილაბუსს თან ახლდეს შეფასების ყველა ფორმა.
- ყველა კურსში სადაც დანერგილია OSCE გამოცდა, სასურველია მოცემული იყოს რა ფორმატით ტარდება გამოცდა, სადგურების რაოდენობა, აღწერილობა, შეფასების ფორმები.

სტანდარტი 7.1.:

- სასურველია სილაბუსებში (კლინიკური უნარები) აისახოს სასწავლო პროცესში აღნიშნული აღჭურვილობის გამოყენება.
- სასურველი იქნებოდა ფოტო მასალის წარმოდგენა სამუშაო პროცესში (ანგარიშში იყო მითითებული, თუმცა წარმოდგენილი არ იყო)

### საუკეთესო პრაქტიკა

## დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

| | სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|---|---|---|---|---|---|
| 1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება | | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 1.1 | უსდ-ის მისია | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.2 | სტრატეგიული განვითარება | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა | | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2.1 | ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2.2 | ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2.3 | ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 3. საგანმანათლებლო პროგრამები | | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 3.1 | საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 3.2 | საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 3.3 | სწავლის შედეგების შეფასება | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 4. უსდ-ის პერსონალი | | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 4.1 | პერსონალის მართვა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 4.2 | აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები | | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 5.1 | სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 5.2 | სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა | | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 6.1 | კვლევითი საქმიანობა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 6.2 | კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 6.3 | კვლევითი საქმიანობის შეფასება | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები | | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 7.1 | მატერიალური რესურსები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 7.2 | საბიბლიოთეკო რესურსები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 7.3 | საინფორმაციო რესურსები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 7.4 | ფინანსური რესურსები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. მარიამ ბანძელაძე 

2. ნანი ყავლაშვილი

## უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

### 1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

**უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.**

| 1.1 უსდ-ის მისია |
| --- |
| უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე. |
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**<br>ავტორიზაციის ჯგუფმა მოცემული სტანდარტი მიიჩნია მოთხოვნებთან შესაბამისად თავდაპირველი ვიზიტის ფარგლებში, შესაბამისად არ გაცემულა რეკომენდაციები. მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფს სტანდარტთან მიმართებაში დამატებითი შენიშვნები არ გააჩნია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br>მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა). |
| **რეკომენდაციები:**<br>რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| **რჩევები:**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |

| |
|---|
| **შეფასება:**<br>მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br>☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
| **1.2 სტრატეგიული განვითარება** |
| ○ უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი).<br>○ უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.<br>○ უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე. |
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**<br>ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა სტანდარტთან მიმართებაში გასცა რეკომენდაცია, რომ სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული იყოს წინა წლების გეგმების ანალიზი, მიღწევებების და გამოწვევების ინდენტიფიცირება და განმარტებები.<br><br>**აღნიშნული რეკომენდაცია შეიძლება მივიჩნიოთ შესრულებულად.** რეკომენდაციის შესრულების საპასუხოდ, საგანმანათლებლო დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს 2022-2024 წლის სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმის პრეამბულაში განცხადებულია, რომ გეგმის შემუშავებას წინ უძღოდა ისეთი დოკუმენტების განხილვა, როგორიცაა 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში, სამიზნე ნიშნულების შესრულების მაჩვენებელი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციები და გარე შეფასების ექსპერტების გამოთქმული მოსაზრებები.<br><br>აღსანიშნავია, რომ ამავე დოკუმენტის პრეამბულაში უნივერსიტეტი დანამდვილებით აფასებს 2019-2021 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული საქმიანობების შედეგებს, მსჯელობს იმ გამოწვევებზე რაც პანდემიის პირობებში წარმოჩინდა სამიზნე ნიშნულების მიღწევის კუთხით და განსაზღვრავს ინოვაციური სწავლების ხელშეწყობის საჭიროებას, როგორც სწავლების უწყვეტობისა და ხარისხის უზრუნველყოფის დამცავ მექანიზმს. დოკუმენტის ამავე ნაწილში არაა მსჯელობა მოცემული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციებზე და არ არის გაანალიზებული გარე შეფასების ექსპერტების მოსაზრებები, მიუხედავად იმისა რომ უნივერსიტეტი დოკუმენტის პრეამბულა ადასტურებს მსგავსი დოკუმენტების განხილვის საჭიროებას. რადგანაც აღნიშნული დოკუმენტების ანალიზის საჭიროება არ არის ცალსახად დასახელებული ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციაში, აღნიშნული ვერ ჩაითვლება ნაკლოვანებად, თუმცაღა მსგავსი მსჯელობა ნამდვილად გააძლიერებდა დოკუმენტის ხარისხს.<br><br>აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავად 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა გაწერილია სამი პრიორიტეტის ირგვლივ: დაწესებულების მიმზიდველობის გაზრდა, კვლევების განვითარება და ინტერნაციონალიზაცია. საგულისხმოა რომ აღნიშნული სამი სტრატეგიული პრიორიტეტი ეხმიანება როგორც უნივერსიტეტის მისიას, ასევე დიდწილად თანხვედრაშია ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გაცემულ რეკომენდაციებთან სხვა ქვე-სტანდართებთანაც მიმართებაში. |

| |
|---|
| რეკომენდაციის შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, სამუშაო პროცესში ჩართული იყო რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სტრუქტურული და საგანმანათლებლო ერთეულები, სტუდენტი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br>• სამოქმედო გეგმა 2022-2024 და მონიტორინგის ანგარიში (დანართი 1.2.1) |
| **რეკომენდაციები:**<br>რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| **რჩევები:**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| **შეფასება:**<br>მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br>☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

**უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.**

| 2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა |
|---|
| ○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას.<br>○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი.<br>○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას.<br>○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს. |
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**<br>აღნიშნულ სტანდარტთან მიმარებაში ავტორიზაციის ექსპერტებს გაცემული ჰქონდათ ორი რეკომენდაცია. პირველი რეკომენდაცია აღნიშნავდა EEU-ს ხელმძღვანელობის მხრიდან ფინანსური მხარდაჭერის საჭიროებას აკადემიური პერსონალის მობილობისა და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის კუთხით. მეორე რეკომენდაცია კი საუბრობს ენის ცოდნის გაუმჯობესების ხელშეწყობაზე. **აღნიშნული რეკომენდაცია შეიძლება მივიჩნიოთ შესრულებულად.**<br>შთამბეჭდავია საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გადადგმული ნაბიჯები ინტერნაციონაილიზაციის ხელშეწყობის, აკადემიური პერსონალის მობილობის და მათი საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის ხელშეწყობის კუთხით ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ (2021 წლის აპრილი). EEU ხელს უწყობს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს |

მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ფორუმებში და კონფერენციებში, წახალისებულია მათი საერთაშორისო გამოცემებში გამოქვეყნება და სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობა, საერთაშორისო დეპარტამენტი აწვდის პერსონალს ინფორმაციას შესაძლო სტიპენდიების, საერთაშორისო პროგრამების და პროექტების შესახებ. აღნიშნული დასტურდება საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დანართი 2.1.1.1-ით - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისთვის საერთაშორისო პროექტების/ღონისძიებების შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაცია. ერთი წლის განმავლობაში (2021 წლის მაისი - 2022 წლის მაისი) გაკეთებულია განაცხადი 15 საერთაშორისო პროგრამაში/ინიციატივაში მონაწილეობის შესახებ, ინფორმაცია განთავსებული იყო/არის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

შთამბეჭდავია უნივერსიტეტის მიერ რიგ საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება, როგორიცაა, ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის სადოქტორო განათლების საბჭო (EUA-CDE) და ბრიტანეთის უმაღლესი განათლების აკადემია – Advance HE. აღნიშნული დასტურდება შესაბამის ბმულზე განთავსებული ინფორმაციით.

ავტორიზაციის ვიზიტის შემდეგ, უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს რვა (8) ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სხვადასხვა საერთაშორისო უნივერსიტეტთან, რაც ასევე დასტურდება წარმოდგენილი მემორანდუმებით. მემორანდუმების გაფორმების თარიღი ნამდვილად ემთხვევა ავტორიზაციის ვიზიტის შემდგომ პერიოდს.

უნივერსიტეტში მუდმივ რეჟიმში ტარდება კვალიფიკაციის ამაღლების კურსები/ტრენინგები, რაც ასევე დასტურდება აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგებით.

აღნიშნული მსჯელობა ასევე განმტკიცებულია აღმოსავლეთ-ევროპის უნივერსიტეტის 2022-2024 წლის სამოქმედო გეგმით. უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს კონკრეტული პრიორიტეტები რეკომენდაციის შესრულების მიზნით, კერძოდ, ამოცანა 2.3 - კვლევის პროდუქტიულობის ზრდა (აქტივობა 2.3.1 – 2.3.10), ამოცანა 3.1 - საერთაშორისო თანამშრომლობის გააქტიურება (აქტივობა 2.1.2 – 3.1.8).

ზემოთ აღწერილი ღონისძიებები ცალსახად მიუთითებს უნივერსიტეტს ხედვას გაძლიერდეს ინგლისური ენის ცოდნის დონე როგორც აკადემიურ პერსონალის, ასევე სტუდენტთა კონტიგენტში. ენათა ცენტრი სთავაზობს აკადემიურ პერსონალს „ინგლისური ენის ექსპრესს სასაუბრო კურს" სრული დაფინანსებით. აღნიშნული კურსი ორიენტირებულია ინგლისურ ენის კომუნიკაციის ენაზე უნარ-ჩვევების გაძლიერებაზე. კურსს უძღვება პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ენების ცენტრის (EEU) უფროსი.

უნივერსიტეტი დაინტერესებულ მხარეებს სთავაზობს კლუბების მეშვეობით ინგლისური ენის კომპეტენციის ამაღლების საშუალებას.

სასურველია წარმოდგენილი იყოს აღნიშნულ კურსზე და კლუბურ საქმიანობაში ჩართული პირების სია/სტატისტიკა. თუმცა, უნივერსიტეტის მზაობა განახორციელოს კონრეკტული ღონისძიებები აღნიშნული მიმართულებით, ასევე დასტურდება 2022-2024 სამოქმედო გეგმით, კონრკრეტულად კი შემდეგი ამოცანებით: ამოცანა 3.3 საგანმათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია (აქტივობა 3.3.3) და ამოცანა 4.4 - საუნივერსიტეტო სერვისების გაუმჯობესება (როგორც გეგმის გამჭოლი პრიორიტეტი) (აქტივობა 4.4.2).

რეკომენდაციის შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, სამუშაო პროცესში ჩართული იყო, ერთის მხრივ, ვიცე-რექტორი საერთაშორისო და ადმინისტრაციულ საკითხებში, ფაკულტეტები, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი. საფინანსო და მატერიალური

| |
|---|
| რესურსების მართვის დეპარტამენტი, ხოლო მეორეს მხრივ - რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, განათლების დეპარტამენტი და ენების ცენტრი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br>• აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისთვის საერთაშორისო პროექტების/ღონისძიებების შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაცია<br>• ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები<br>• აღმოსავლეთ-ევროპის უნივერსიტეტის 2022-2024 წლის სამოქმედო გეგმა<br>• აღმოსავლეთ-ევროპის უნივერსიტეტის ვებგვერდი |
| **რეკომენდაციები:**<br>რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| **რჩევები:**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| **შეფასება:**<br>მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br>☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
| **2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები** |
| ○ უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.<br>○ უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას. |
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**<br>ავტორიზაციის ჯგუფმა მოცემული სტანდარტი მოთხოვნებთან შესაბამისად მიიჩნია თავდაპირველი ვიზიტის ფარგლებში, შესაბამისად არ გაცემულა რეკომენდაციები. მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფს სტანდარტთან მიმართებაში დამატებითი შენიშვნები არ გააჩნია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br>მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა). |
| **რეკომენდაციები:**<br>რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| **რჩევები:**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა**

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

ავტორიზაციის ჯგუფმა მოცემული სტანდარტი მოთხოვნებთან შესაბამისად მიიჩნია თავდაპირველი ვიზიტის ფარგლებში, შესაბამისად არ გაცემულა რეკომენდაციები. მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფს სტანდარტთან მიმართებაში დამატებითი შენიშვნები არ გააჩნია.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

**რეკომენდაციები:**

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

**რჩევები:**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 3. საგანმანათლებლო პროგრამები

**უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.**

**3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება**

უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

ავტორიზაციის ჯგუფმა მოცემული სტანდარტი მოთხოვნებთან შესაბამისად მიიჩნია თავდაპირველი ვიზიტის ფარგლებში, შესაბამისად არ გაცემულა რეკომენდაციები.

მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფს სტანდარტთან მიმართებაში დამატებითი შენიშვნები არ გააჩნია.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

**რეკომენდაციები:**

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

**რჩევები:**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

ექსპერტების რეკომენდაციით დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაში უნდა იყოს სწავლა-სწავლების მეთოდებისა და სწავლის შედეგების კიდევ უფრო მეტი თანხვედრა.

უნივერსტეტმა გაითვალისწინა ექსპერტთა რჩევები - სასწავლო კურსებში თემატიკის შესაბამისად ჩაემატა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებისა (PBL) და კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლების (CBL) სესიები. PBL-ისა და CBL- ის შეფასება ხდება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული რელევანტური კრიტერიუმებით.

პროგრამის სასწავლო კურსებში ასევე გამოყენებულია შესაბამისი სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდები, ინტერაქტიული ლექციები, შემთხვევის ანალიზი (Case Study), ჯგუფური მუშაობა, დემონსტრირება, ვიდეომასალის ჩვენება, როლური თამაშები, ავადმყოფის საწოლთან სწავლება (Bedside-Teaching), სწავლება სიმულატორების გამოყენებით, დისკუსია/დებატები და ა.შ; თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის მიზნებს, შინაარსს და სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე უზრუნველყოფს სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ცოდნის შეფასება ხდება ღია და დახურული კითხვებით, შემთხვევის ანალიზითა და შესაბამისი სილაბუსით განსაზღვრული სხვა რელევანტური მეთოდებით. მედიცინის საფუძვლების სასწავლო კურსებში გამოყენებულია ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა (OSPE), კლინიკური და

პროფესიული უნარების შეფასება ხდება ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდით (OSCE).

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები (დანართი 3.2.1)
- უნივერსიტეტის ანგარიში ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე

**რეკომენდაციები:**

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

**რჩევები:**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

**შეფასება:**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**3.3 სწავლის შედეგების შეფასება**

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

